

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის

ოქმი #6

ქ. თბილისი

2018 წლის 29 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. აბესაძე ნინო 3. გაგელიძე ტარიელი 4. შვანგირაძე მათე 5. გოგინავა უშანგი 6. თუთბერიძე ბექანი 7. მაჭავარიანი ლია 8. გეგეჭკორი არნოლდი 9. მაზიაშვილი ნინო (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 10. თოდუა ნონა 11. კვირიკაშვილი ბახვა 12. ოქიტაშვილი გიორგი 13. სიდამონიძე სანდრო (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ) 14. მარგველაშვილი ვლადიმერი 15. ქიტუაშვილი თინა 16. წერეთელი მარი 17. შამილიშვილი მანანა 18. ჩახუნაშვილი ნინო 19. დადუშქელიანი ბექა 20. თოფურია სალომე 21. ლორია კახაბერი 22. გორდეზიანი ლევანი 23. გელოვანი ნანი 24. თაბუაშვილი აპოლონი 25. ბრაჭული ირაკლი 26. ოთხმეზური გიორგი 27. პაიჭაძე თამარი 28. შარაბიძე თამარი, 29. სამხარაძე ლაშა, 30. კეყერაშვილი შოთა 31. მურდულია ირაკლი 32. გაიპარაშვილი ზურაბი 33. ღარიბაშვილი ირაკლი 34. სუმბაძე ციური 35. ბაშალეიშვილი ლევანი 36. ქადეიშვილი თორნიკე 37. იოსელიანი ხათუნა 38. ახალბედაშვილი ლალი 39. ხეცურიანი ნათელა 40. ხუციშვილი მარინე 41. ნემსაძე ადა 42. რუხაია მიხეილი (დანართი 1)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთათვის უფლებამოსილების შეწყვეტა და ცნობა (მომხსენებელი: კახაბერ ლორია)
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობის დადგენა (მომხსენებელი: კახაბერ ლორია)
3. ქ. თბილისში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების საკითხის განხილვა (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ჩამოწერილი მცირეფასიანი აქტივების განკარგვის/განადგურების თაობაზე თანხმობის გაცემა (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ფართის იჯარით გაცემაზე თანხმობის შესახებ (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ სხდომის მდივნად წარმოადგინა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის თამარ პაიჭაძის კანდიდატურა, რაც ერთხმად იქნა მხარდაჭერილი.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ. აღინიშნა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეონა მინდიაშვილს შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, უფლებამონაცვლე კი არა ჰყავს, ხოლო ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე ანანო ბასილაიას უფლებამონაცვლე არის ნინო მაზიაშვილი, იურიდიულ ფაკულტეტზე თამარ ონიანის უფლებამონაცვლეა სანდრო სიდამონიძე, ხოლო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თორნიკე შევარდნაძეს ანაცვლებს ტარიელ ირემაძე.

1.1. თავდაპირველად კენჭი ეყარა ანანო ბასილაიას, თამარ ონიანის, თორნიკე შევარდნაძისა და თეონა მინდიაშვილისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ანანო ბასილაიას, თამარ ონიანის, თორნიკე შევარდნაძესა და თეონა მინდიაშვილს შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

1.2 ცალკე ეყარა კენჭი ნინო მაზიაშვილის, სანდრო სიდამონიძისა და ტარიელ ირემაძისათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობას.

მომხრე: 40

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: ცნობილ იქნეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების, ნინო მაზიაშვილი (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), სანდრო სიდამონიძისა (იურიდიული ფაკულტეტი) და ტარიელ ირემაძის (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი) უფლებამოსილებები.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, კახაბერ ლორიამ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობის დადგენის საკითხთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, უნივერსიტეტის წესდების თანახმად, მომავალი წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა რაოდენობას განსაზღვრავს თავად წარმომადგენლობით საბჭო (სენატი).

სპიკერმა სენატს შესთავაზა საერთო რაოდენობის განისაზღვროს ისევ 76 წევრით, აქედან, როგორც კანონმდებლობა მოითხოვს, 1/3 ანუ 26 წევრი (სტუდენტების სასარგებლოდ დამრგვალებით) იქნება სტუდენტი, 1 (ერთი) თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, 1 (ერთი) თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი და ასევე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის 1 (ერთი) წარმომადგენელი ყოველი ასეთი ერთეულიდან), 32 ადგილი დაეთმობა აკადემიურ პერსონალს. რაც შეეხება ფაკულტეტების წარმომადგენლობით კვოტებს, აუცილებელია ადგილები გადანაწილდეს პროპორციულად.

უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვისა და პერსონალის მართვის დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე (დანართი 2, დანართი 3) ამ შემთხვევაში, ფაკულტეტების მიხედვით დადგინდება კვოტები შემდეგი პროპორციით: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4, სტუდენტი - 6; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 7; სტუდენტი - 4; იურიდიული ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4, სტუდენტი - 4; მედიცინის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4; სტუდენტი - 2; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 3, სტუდენტი - 3; ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 2, სტუდენტი - 2; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 8, სტუდენტი - 5;

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: 2018 წლის მოწვევის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობა განისაზღვროს 76 წევრით: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4, სტუდენტი - 6; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 7; სტუდენტი -4; იურიდიული ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4 , სტუდენტი - 4; მედიცინის ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 4; სტუდენტი - 2; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 3, სტუდენტი - 3; ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 2, სტუდენტი -2; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი: აკადემიური პერსონალი - 8, სტუდენტი - 5; თსუ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი -1, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი - 1, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ერთი წარმომადგენელი ყოველი ასეთი ერთეულიდან.

3.სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა არჩილ კუკულავამ აღნიშნა, რომ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განსახილველად შემოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 06 აგვისტოს N8 18 00977999 კორესპონდენცია, რომელსაც თან ერთვის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 01 აგვისტოს N6/43343 წერილი. წარმოდგენილი კორესპონდენციებით საკითხი ეხება ქ. თბილისში, ინგოროყვას ქ. N8-ში მდებარე უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი: 01.15.05.068.002) პრივატიზებას. ასევე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 14 სექტემბრის N6/51486 კორესპონდენციით გვეცნობა, რომ აღნიშნულ სააგენტოში მიმდინარეობს საქმისწარმოება, ქ. თბილისში, ფუნიკულიორზე, ზედა პლატოზე მდებარე 1548 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კოდი: 01.15.07.004.002) პრივატიზების თაობაზე, კერძოდ, იმ უძრავ ქონებაზე, რომლის მოიჯარეს წარმოადგენს უნივერსიტეტი. აღნიშნული კორესპონდენციები პოზიციის გამოსახატავად გადაეცა უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულს, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს. ინსტიტუტმა გამოხატა შემდეგი პოზიცია: ა) ფუნიკულიორის ზედა პლატოზე მდებარე უძრავი ქონების პრივატიზება ინსტიტუტს მიაჩნია დაუშვებლად, ვინაიდან აწ. გარდაცვლილი მეცნიერის არნოლდ ჩიქობავას ანდერძის შესაბამისად უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი და მცირე სააგარაკე შენობა 1987 წელს გადაეცა ინსტიტუტს, 2000 წლიდან სახელმწიფოს საკუთრებად ფიქსირდება. დღეის მდგომარეობით, მოიჯარეს წარმოადგენს უნივერსიტეტი. ამასთან, მიწის ნაკვეთზე დაკრძალულია დიდი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე აკად. არნოლდ ჩიქობავა მეუღლესთან ერთად; ბ) ინგოროყვას ქ. N8-ში არსებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, ინსტიტუტს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი

განვითარების სამინისტროს წინაშე, გააჩნია მოთხოვნები და პირობები, რომლებიც ასახულია ზემოხსენებულ 2018 წლის 28 სექტემბრის N19885/10 კორესპონდენციაში და რაც დადგენილია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მომხსენებლის განმარტებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ზემოხსენებული კორესპონდენციით ითხოვს, დასმული საკითხი განვიხილოთ წარმომადგენლობის საბჭოსთან შეთანხმებით და მივაწოდოთ საბჭოსთან შეჯერებული პოზიცია. აღნიშნულიდან გამომდინარე, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ითხოვა წარმომადგენლობითი საბჭოსგან პოზიციის დაფიქსირება.

ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით აზრი გამოხატეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა: გიორგი ოთხმეხურმა, ბახვა კვირიკაშვილმა, არნოლდ გეგჭკორმა, თამარ შარაბიძემ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ნუნუ ოვსიანიკოვამ, ასევე არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ნანა მაჭავარიანმა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ვაჟა შენგელიამ. ყველა გამომსვლელი და საბჭოს დანარჩენი წევრები შეთანხმდნენ იმ პოზიციაზე, რომ ქ. თბილისში, ფუნიკულიორის ზედა პლატოზე მდებარე უძრავი ქონების პრივატიზება დაუშვებელია, ვინაიდან აწ. გარდაცვლილი მეცნიერის არნოლდ ჩიქობავას ანდერძის შესაბამისად უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი და მცირე სააგარაკე შენობა გადაეცა თავის დროზე ინსტიტუტს, ახლა კი უნივერსიტეტი ამ ქონების მოიჯარეა. ამასთან, როგორც წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ბახვა კვირიკაშვილმა აღნიშნა, უნდა ეთხოვოს სახელმწიფოს, სააგარაკე შენობაში მცხოვრები დევნილი ოჯახის დაკმაყოფილება სათანადო საცხოვრისით, ამასთან, თსუ ადმინისტრაციისა და ინსტიტუტის წარმომადგენლების მხრიდან უნდა დაისახოს გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს არსებული მიწის ნაკვეთის ათვისება და შემდგომი განვითარება ინსტიტუტის ინტერესების გათვალისწინებით. რაც შეეხება თბილისში, ინგოროყვას ქ. N8-ში მდებარე უნივერსიტეტის (ინსტიტუტის) სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებას, როგორც სხდომაზე აღინიშნა, ეს შესაძლებელია მხოლოდ თსუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული პირობების და მოთხოვნების გათვალისწინებით.

შესაბამისად, სენატის წინაშე კენჭისყრაზე დადგა საკითხი, ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

1. სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ეცნობოს, რომ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და წარმომადგენლობითი საბჭოს პოზიციის თანახმად უნივერსიტეტი წინააღმდეგია ქ. თბილისში, ფუნდულორზე, ზედა პლატოზე მდებარე 1548 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კოდი: 01.15.07.004.002) პრივატიზებაზე.

2. ეთხოვოს თსუ ადმინისტრაციასა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, ერთობლივად შეიმუშავონ წინადადებები და მოსაზრებები, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების შემდგომი განვითარებისათვის.

3. ქ. თბილისში, ინგოროყვას ქ. N8-ში მდებარე უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი: 01.15.05.068.002) პრივატიზებაზე უნივერსიტეტი არ არის წინააღმდეგი (არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და წარმომადგენლობითი საბჭოს პოზიციის თანახმად) იმ პირობით, რომ სრულად იქნება გათვალისწინებული და შესრულებული არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ შეიმუშავებული მოთხოვნები და მათთან დაკავშირებული შესაძლო თანმდევი საჭიროებები. (დანართი 4)

4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 6 ივლისის №187/02-01 ბრძანებით ჩამოწერილ იქნა 474.8 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივები. ამავე დროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული მცირეფასიანი აქტივები, რომლებიც ამორტიზებულია, რომელთა განკარგვა და რაიმე დანიშნულებით გამოყენება უნივერსიტეტისათვის შეუძლებელია, არ გააჩნია საბაზრო ღირებულება და უვარგისია მეორადი გამოყენებისათვის, განიკარგოს/განადგურდეს მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს მთავრობის 22.03.10. წ. №82 დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული, ჩამოწერილი მცირეფასიანი აქტივების განკარგვის/განადგურების თაობაზე. (დანართი 5)

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, არჩილ კუკულავამ, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, თხოვნით მიმართა წარმომადგენლობით საბჭოს, თსუ-ს სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე, განიხილოს პირველი კორპუსის ეზოში განლაგებული სასააღილოს შენობის პირველ სართულზე არსებული 342.95 მ2 (187.13+131.07+24.75)ფართის, სამზარეულოს ინვენტართან ერთად, 5 წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემის საკითხი სტუდენტური კაფის მოწყობის მიზნით, იმ პირობებით, რომ მოიჯარემ მეიჯარესთან შეთანხმებით განახორციელოს უძრავი ქონების შიდა ინტერიერის რემონტი, ხოლო სასააღილო დარბაზი აღჭურვოს თანამედროვე ტიპის მაგიდებითა და სკამებით.

საკითხთან დაკავშირებით, მოსაზრება გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ბახვა კვირიკაშვილმა, არსებული აივნისა და მიმდებარე ეზოს ტერიტორიის შესაბამისი მიზნით ათვისების შესახებ. მომხსენებელმა, არჩილ კუკულავამ აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვა უმჯობესი იქნება ამ პროცესის დასრულების შემდგომ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება:

გაიცეს თანხმობა პირველი კორპუსის ეზოში განლაგებული სასააღილოს შენობის პირველ სართულზე არსებული 342.95 მ2 (187.13+131.07+24.75)ფართის, სამზარეულოს ინვენტართან ერთად, 5 წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემაზე, სტუდენტური კაფის მოწყობის მიზნით, შესაბამისი პირობებით. (დანართი 6)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი

კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი

თამარ პაიჭაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №6,

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები
2018 წლის 29 ოქტომბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

შაბურიშვილი შოთა

თოდუა ნუგზარი

აბესაძე ნინო

ბარბაქაძე ხათუნა

სტუდენტები:

სოსიაშვილი თათია

ბერუაშვილი ანზორი

გაგელიძე ტარიელი

შვანგირაძე მათე

შუბითიძე ვლადიმერი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

გოგინავა უშანგი

თუთბერიძე ბეჟანი

მაჭავარიანი ლია

გაბუკორი არნოლდი

ხაჩიძე მანანა

სამსონია შოთა

სტუდენტები

ბახტურიძე შაატა

კვირიკაშვილი ბაჩანა

მაზიაშვილი ნინო (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ)



იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

თუმანიშვილი გიორგი

ცისკაძე მარიაში

თოდუა ნონა

- 

გარიშვილი მარინა

სტუდენტები:

კვირიკაშვილი ბახვა

ოჭიაშვილი გიორგი

ართქმელაძე თორნიკე

სიღანონიძე სანდრო (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ)



მედიცინის ფაკულტეტი


პროფესორები:

მარგველაშვილი ვლადიმერი

ჭიტუაშვილი თინა

ხოძელი ნოდარი

ჩხაიძე ზურაბი



სტუდენტები:

ჩნაიძე თამარი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

წერეთელი მარი

შამილიშვილი მანანა

ტუკვაძე ავთანდილი

მ. შამილიშვილი

სტუდენტები:

ლორთქიფანიძე ლევანი

საბაური შალვა

ირემაძე ტარიელი (უფლებამოსილების ცნობის შემდეგ)

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ჟვანია ირინე

ჩახუნაშვილი ნინო

ნ. ჩახუნაშვილი

სტუდენტები

დადეშქელიანი ბექა

თოფურია სალომე

ბ. დადეშქელიანი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

ლორია კახაბერი

გორდეზიანი ლევანი

გელოვანი ნანი

თაბუაშვილი აპალონი

ბრაჭული ირაკლი

ოთხმეზური გიორგი

პაიჭაძე თამარი

შარაბიძე თამარი



სტუდენტები

ჯებაშვილი ნანა

სამხარაძე ლაშა

კეჭერაშვილი შოთა

მურღულია ირაკლი



თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

გაიპარაშვილი ზურაბი



ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

ღარიბაშვილი ირაკლი



ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

სუმბაძე ციური



ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

ბაშელიშვილი ლევანი



ანდრია რაჭმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

ქაღვიშვილი თორნიკე



არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

წაჭაძე სევერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

რუსიაშვილი გიორგი


ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

იოსელიანი ხათუნა



კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ახალბედაშვილი ლალი



მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

ალანია ვიქტორი

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ხეცურიანი ნათელა

ნ. ხ. მელიქიშვილი

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

ხუციშვილი მარინე

რ. აგლაძე

შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

ნემსაძე ადა

ს. რუსთაველი

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

რუხაია მიხეილი

ი. ვეკუა

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ჯობავა თამარი

თსუ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების სია

ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	მაგისტრატურა	დოქტორანტურა	ქართულ ენაში მომზადების საგანმან. პროგრამა	სულ
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	2942	0	326	134	0	3402
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	2914	0	352	261	338	3865
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	1944	0	371	75	0	2390
ეკონომიკისა და ბიზნესის	3483	0	701	170	0	4354
იურიდიული	3007	0	704	123	0	3834
მედიცინის	0	1404	26	108	0	1538
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	920	0	269	63	0	1252
სულ	15210	1404	2749	934	338	20635

თსუ შერეობული სტატუსის მქონე სტუდენტების სია

ფაკულტეტი	ბაკალავრიატი	ერთსაფეხურიანი სამედიცინო	მაგისტრატურა	დოქტორანტურა	ქართულ ენაში მომზადების საგანმან. პროგრამა	სულ
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	985	0	206	157	0	1348
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	1125	0	204	450	92	1871
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა	488	0	371	182	0	1041
ეკონომიკისა და ბიზნესის	1040	0	625	274	0	1939
იურიდიული	423	0	389	363	0	1175
მედიცინის	0	244	13	119	0	376
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	250	0	170	183	0	603
სულ	4311	244	1978	1728	92	8353

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი:

პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 38

დაკავებული - 36

ასოცირებული პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 75

დაკავებული - 69

ასისტენტ - პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 58

დაკავებული - 46

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 44

დაკავებული - 42

ასოცირებული პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 122

დაკავებული - 118

ასისტენტ - პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 33

დაკავებული - 28

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი:

პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 18

დაკავებული - 16

ასოცირებული პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 38

დაკავებული - 37

ასისტენტ - პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 24

დაკავებული - 14

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი:

პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 20

დაკავებული - 18

ასოცირებული პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 59

დაკავებული - 57

ასისტენტ - პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 26

დაკავებული - 22

იურიდიული ფაკულტეტი:

პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 24

დაკავებული - 22

ასოცირებული პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 29

დაკავებული - 28

ასისტენტ - პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 36

დაკავებული - 18

ასისტენტი

საშტატო რაოდენობა - 20

დაკავებული - 18

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 27

დაკავებული - 27

ასოცირებული პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 50

დაკავებული - 50

ასისტენტ - პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 33

დაკავებული - 23

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი:

პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 10

დაკავებული - 7

ასოცირებული პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 23

დაკავებული - 23

ასისტენტ - პროფესორი

საშტატო რაოდენობა - 19

დაკავებული - 11



საჯარო სამართლის იურიდიული უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმოკვანელი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №6, დანართი 4

N 21252/10

15/10/2018

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ კახაბერ ლორიას

ბატონო კახაბერ,

გაცნობებთ, რომ სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომ ტექსტში – „უნივერსიტეტი“) განსახილველად შემოვიდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 06 აგვისტოს N8 18 00977999 კორესპონდენცია, რომელსაც თან ერთვის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 01 აგვისტოს N6/43343 წერილი. წარმოდგენილი კორესპონდენციებით საკითხი ეხება ქ. თბილისში, ინგოროყვას ქ. N8-ში მდებარე უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების (საკ. კოდი: 01.15.05.068.002) პრივატიზებას. ასევე, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 14 სექტემბრის N6/51486 კორესპონდენციით გვეცნობა, რომ აღნიშნულ სააგენტოში მიმდინარეობს საქმისწარმოება, ქ. თბილისში, ფუნიკულიორზე, ზედა პლატოზე მდებარე 1548 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კოდი: 01.15.07.004.002) პრივატიზების თაობაზე, კერძოდ, იმ უძრავ ქონებაზე, რომლის მოიჯარეს (იხ. 2018 წლის 09 აგვისტოს საჯარო რეესტრის ამონაწერი) წარმოადგენს უნივერსიტეტი. აღნიშნული კორესპონდენციები პოზიციის გამოსახატავად გადაეცა უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულს, არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს. ინსტიტუტმა (იხ. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2018 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილება) 2018 წლის 28 სექტემბრის NN19884/10, 19885/10 და 19887/10 წერილებით გამოხატა შემდეგი პოზიცია:

ა) ფუნქციონირის ზედა პლატოზე მდებარე უძრავი ქონების პრივატიზება ინსტიტუტს მიაჩნია დაუშვებლად, ვინაიდან აწ. გარდაცვლილი მეცნიერის არნოლდ ჩიქობავას ანდერძის შესაბამისად უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი და მცირე სააგარაკე შენობა 1987 წელს გადაეცა ინსტიტუტს, 2000 წლიდან სახელმწიფოს საკუთრებად ფიქსირდება. დღეის მდგომარეობით, როგორც აღვნიშნეთ, მოიჯარეს წარმოადგენს უნივერსიტეტი. ამასთან, მიწის ნაკვეთზე დაკრძალულია დიდი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე აკად. არნოლდ ჩიქობავა მეუღლესთან ერთად (იხ. დანართი);

ბ) ინგოროყვას ქ. N8-ში არსებული ქონების პრივატიზების შემთხვევაში, ინსტიტუტს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე, გააჩნია მოთხოვნები და პირობები, რომლებიც ასახულია ზემოხსენებულ 2018 წლის 28 სექტემბრის N19885/10 კორესპონდენციაში და რაც დადგენილია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით (იხ. დანართი).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ზემოხსენებული N8 18 00977999 კორესპონდენციით გვთხოვს, დასმული საკითხი განვიხილოთ წარმომადგენლობის საბჭოსთან შეთანხმებით და მივაწოდოთ საბჭოსთან შეჯერებული პოზიცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გთხოვთ ზემოხსენებული კორესპონდენციებით წარმოდგენილი საკითხების განხილვას.

დანართი: 21 ფურცელი.

პატივისცემით,

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA



MES 8 18 00977999

06/08/2018

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში განსახილველად შემოვიდა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 01 აგვისტოს N6/43343 კორესპონდენცია (სამინისტროში რეგისტრაციის N970748 01.08.18.), რომელიც ეხება უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული ქ. თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N8-ში მდებარე 981 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ N01.15.05.068.002) ელექტრონული პრივატიზების საკითხს.

გიგზავნით ზემოაღნიშნულ კორესპონდენციას (იხ. დანართი). გთხოვთ, განიხილოთ და მოგვაწოდოთ წარმომადგენლობით საბჭოსთან შეჯერებული თქვენი პოზიცია საკითხთან დაკავშირებით.

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

მამუკა ბერიძე



სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ. 49ა
ტელ: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I. Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32) 2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N 6/43343

01 / აგვისტო / 2018 წ.


განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტო განიხილავს ქალაქ თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N8-ში არსებული 981 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს.კ 01.15.05.068.002) ელექტრონული პრივატიზების საკითხს.

გთხოვთ, დროის შემჭიდროებულ ვადებში გვაცნობოთ თქვენი მოსაზრება/პოზიცია გემოაღნიშნული უძრავი ქონების განკვარგვასთან დაკავშირებით.

დანართი: ორთოფოტო

გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამბდამსმულია
ელექტრონულად 

ირაკლი ჩიდრაშვილი



KA021793645853818

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო



NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi, Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N 6/51486


14 / სექტემბერი / 2018 წ.

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

გაცნობებთ, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს საქმისწარმოება ქ. თბილისში, ფუნიკულიორზე, ზედა პლატოზე მდებარე 1548 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს.კ: 01.15.07.004.002) პრივატიზების თაობაზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთი იჯარის უფლებით გადაცემული აქვს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, შესაძლო მოკლე ვადაში გვაცნობოთ თქვენი მოსაზრება დასახელებული უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე.

გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპლასმულია
ელექტრონულად 

ირაკლი ჩიდრაშვილი



N 19884/10
28/09/2018

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს,
ბატონ გიორგი შარვაშიძეს

ბატონო გიორგი,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადმოგვიგზავნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსის ა.წ. 14 სექტემბრის #6/51486 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს საქმისწარმოება ქ. თბილისში ფუნქციულორის ზედა პლატოზე მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პრივატიზების თაობაზე; გაყიდვების სამსახური გვთხოვს ამასთან დაკავშირებით გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება.

საქმე ეხება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მიწის ნაკვეთსა და მცირე სააგარაკე სახლს, რომელიც მეცნიერის ანდერძის შესაბამისად 1987 წელს გადაეცა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, ხოლო 2000 წელს გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ამჟამად ის გადაცემულია უნივერსიტეტისათვის იჯარის წესით.

აღნიშნული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის პრივატიზაცია დაუშვებელია, რადგან აგარაკის ეზოში (ნაკვეთზე) დაკრძალულია დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკად. არნ. ჩიქობავა მეუღლესთან ერთად. პრივატიზაციის შესახებ საკითხის დასმაც კი მიუღებელია არა მხოლოდ მეცნიერებისათვის, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებისათვის (სხვათა შორის, მიმდინარე წელს საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნება არნ. ჩიქობავას დაბადების 120 წლისთავი).

საკითხი უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან.

პატივისცემით,

ნანა მაჭავარიანი

Handwritten signature

დირექტორი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვაჟა შენგელია

Handwritten signature

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი



N 19885/10
28/09/2018

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს,
ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას

ქალბატონო ნუნუ,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადმოგვიგზავნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსის ა.წ. 14 სექტემბრის #6/51486 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს საქმისწარმოება ქ. თბილისში ფუნქცილიორის ზედა პლატოზე მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პრივატიზების თაობაზე; გაყიდვების სამსახური გვთხოვს ამასთან დაკავშირებით გამოვთქვით ჩვენი მოსაზრება.

საქმე ეხება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მიწის ნაკვეთსა და მცირე სააგარაკე სახლს, რომელიც მეცნიერის ანდერძის შესაბამისად 1987 წელს გადაეცა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, ხოლო 2000 წელს გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ამჟამად ის გადაცემულია უნივერსიტეტისათვის იჯარის წესით.

აღნიშნული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის პრივატიზაცია დაუშვებელია, რადგან აგარაკის ეზოში (ნაკვეთზე) დაკრძალულია დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკად. არნ. ჩიქობავა მეუღლესთან ერთად. პრივატიზაციის შესახებ საკითხის დასმაც კი მიუღებელია არა მხოლოდ მეცნიერებისათვის, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებისათვის (სხვათა შორის, მიმდინარე წელს საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნება არნ. ჩიქობავას დაბადების 120 წლისთავი).

საკითხი უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან.

პატივისცემით,

ნანა მაჭავარიანი

Handwritten signature

დირექტორი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვაჟა შენგელია

Handwritten signature

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი



N 19887/10
28/09/2018

ოვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის

რექტორს ბ-ნ გ.

შარვაშიძეს

ბატონო გიორგი,

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო განიხილავს ინგოროყვას ქუჩა №8-ში არსებული მიწის ნაკვეთისა და შენობის ელექტრონული პრივატიზაციის საკითხს. საქმე ეხება შენობას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარებულ ნაგებობას, რომელშიც 1941 წლიდან განთავსებულია ენათმეცნიერების ინსტიტუტი. უნდა აღინიშნოს, რომ შენობა ადრე ინსტიტუტის ბალანსზე იყო, შემდეგ გადავიდა ეკონომიკის სამინისტროს მფლობელობაში და ინსტიტუტს გადაეცა სარგებლობისათვის 2025 წლამდე (იჯარით).

შენობა ავარიულია, მაგრამ ჩვენ მას ვერ დავტოვებთ, ვიდრე ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში არ აშენდება ან არ გამოიყოფა ცალკე შენობა, რომელსაც ექნება ენათმეცნიერების ინსტიტუტის საქმიანობისათვის აუცილებელი პირობები. პრივატიზაციის შემთხვევაში ინვესტორს წერილობითი ხელშეკრულებით უნდა დაეკისროს ვალდებულება, რომ ის უზრუნველყოფს ინსტიტუტისათვის სათანადო ფართობის და მოწყობილობის ინფრასტრუქტურის მზა შენობის გადმოცემას და სანამ ასეთი შენობა არ იქნება, ინსტიტუტი დარჩება ამჟამინდელი ფუნქციონირების ადგილას.

წერილს ვურთავთ იმ მოთხოვნებს, რომლებიც ინსტიტუტის საქმიანობის ნორმალურად წარმართვისათვის არის აუცილებელი (დამტკიცებულია თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ა. წ. 21 სექტემბერს).

მოგეხსენებათ, რომ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შენობა (ინგოროყვას ქ., 8) მწვავედ ავარიულია, რის გამოც ინსტიტუტს მეტად მძიმე მდგომარეობაში უწევს მუშაობა. ამის თაობაზე 24 იანვარს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კანცელარიას ჩავაბარეთ სათანადო წერილი.

ამჟამად ინსტიტუტში მუშაობს 105 თანამშრომელი, მათ შორის 85 მეცნიერ-თანამშრომელია. შენობა, რომელიც ამჟამად ინსტიტუტს უკავია, ოთხსართულიანია, მისი საერთო ფართობი კი **2640 მ²**, რასაც ემატება სარდაფი – 100 მ².

თუკი გადაწყდება ინსტიტუტისათვის ახალი შენობის აგება, ის უნდა იყოს ქალაქის ცენტრში ოთხსართულიანი **2400 მ²** საერთო ფართობის, ე. ი. თითოეულ სართულზე იქნება **600 მ²**. შენობაში გვექნება ოთახები (კაბინეტები) ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის; აქვე განთავსდება ინსტიტუტის **სამეცნიერო ბიბლიოთეკა** (წიგნთსაცავითურთ), სამეცნიერო მუშაობისათვის საჭირო **ფონდები**, სხდომათა დიდი და მცირე დარბაზები.

პირველი სართული: სხდომათა დარბაზი **120** პირისათვის, სამეცნიერო ბიბლიოთეკა – სამკითხველო დარბაზი და წიგნთსაცავი (სტელაჟებით), ვარლამ და გურამ თოფურიების კაბინეტი (მათი საბიბლიოთეკო ფონდით), სასადილო (ბუფეტი), ოთახები დარაჯისათვის და დამხმარე პერსონალისათვის, სველი წერტილი.

მეორე სართული: ქართველურ ენათა და ლექსიკოლოგიის განყოფილებები (**12** კაბინეტი), ერთი მცირე სხდომათა დარბაზი (**30** პირისათვის), დამხმარე სათავსები, სველი წერტილი.

მესამე სართული: სამი კაბინეტი დირექციისათვის (დირექტორი, მოადგილე, სწავლული მდივანი), ერთი – სამეცნიერო საბჭოსათვის, შვიდი – ტექნიკური პერსონალისათვის, ერთი –

არნ. ჩიქობავას კაბინეტისათვის, ერთი – ქეთევან ლომთათიძისა და გიორგი როგავას კაბინეტისათვის, დამხმარე სათავსები, სველი წერტილი.

მეოთხე სართული: მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილება (**3** კაბინეტი), მეტყველების კულტურის განყოფილება (**2** კაბინეტი), სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება (**3** კაბინეტი), ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილება (**2** კაბინეტი), ენობრივ მონაცემთა კომპიუტერული დამუშავების განყოფილება (**3** კაბინეტი), მცირე სხდომათა დარბაზი, დამხმარე სათავსები, სველი წერტილი.

ს ხ ვ ა პ ი რ ო ბ ე ბ ი

1. რაკი პირველ სართულზე განთავსდება სხდომათა დარბაზი, ის სხვა სართულებზე უფრო მაღალჭერიანი უნდა იყოს, ამასთან, პირველი სართული მიწის ზედაპირიდან ერთი მეტრით უნდა იყოს დაშორებული;

2. შენობას ექნება ცენტრალური გათბობა და გაგრილების სისტემა;

3. იქნება ლიფტი (როგორც ახლანდელ შენობაშია);

4. შენობაში იქნება ინტერნეტი და სატელეფონო ქსელი (15 ნომრით);

5. შენობა უზრუნველყოფილი იქნება ელექტროგანათებით;

6. ყველა სართულზე იქნება სველი წერტილი (როგორც ამჟამად არის);

7. ყველა სართულზე იქნება დერეფანი (როგორც ახლანდელ შენობაშია);

8. ინსტიტუტის ბიბლიოთეკას და წიგნთსაცავს ექნება ვენტილაციის სისტემა;

9. აუცილებლად მიგვაჩნია ენათმეცნიერების ინსტიტუტის შენობის პროექტის შემუშავებაში ინსტიტუტის მონაწილეობა.

ინვესტორთან დადებულ ხელშეკრულებაში უნდა ჩაიწეროს მისი ვალდებულება, რომ ის ხელშეკრულების დადებიდან მაქსიმუმ ერთი წლის ვადაში აუშენებს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს ოთხსართულიან შენობას (სათანადო ინფრასტრუქტურით – იხ. ზემოთ) და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებს ინსტიტუტი შენობას, რომელშიც ის ამჟამად არის განთავსებული. გარდა ამისა, ინვესტორმა უნდა უზრუნველყოს ერთი შენობიდან მეორეში ღირსეულად გადასვლა: ტრანსპორტით გადატანისათვის საჭირო ინვენტარის შეძენა, ტომრების, ყუთების ყიდვა, მუშების დაქირავება და სხვ...

სატენდერო კომისიის შემადგენლობაში აუცილებელია იყოს წარმოდგენილი ინსტიტუტის ინტერესების დამცველი პირი – უნივერსიტეტისა თუ ინსტიტუტის წარმომადგენელი.

ველით, რომ 80-წლიანი ისტორიის მქონე საერთოეროვნული სამეცნიერო დაწესებულების ინტერესები სათანადოდ იქნება გათვალისწინებული.

პატივისცემით,

ნანა მაჭავარიანი

Handwritten signature

დირექტორი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ვაჟა შენგელია

Handwritten signature

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი



საჯანსაღო სახელობის ტბილისის სახელმწიფო
 ივანე ჯავახიშვილის სახელობის ტბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ანსოლდ ჩიკობავას სახელმწიფის ქანთმეცნიერების ინსტიტუტი
 LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW -
 IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
 ARNOLD CHIKOBAVA INSTITUTE OF LINGUISTICS

N 20818/10
 09/10/2018

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ტბილისის სახელმწიფო
 უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს
 ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას

ქალბატონო ნუნუ,

გაახლებთ არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შენობის
 ელექტრონულ პრიატიზაციასთან დაკავშირებით ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ა. წ.
 21 სექტემბრის სხდომის ოქმის ამონაწერს.

ნანა მაჭავარიანი

დირექტორი
 არნოლდ ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ა მ თ ნ ა წ ე რ ბ

ოქმი № 11

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო
საბჭოს 2018 წლის 21 სექტემბრის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ: საბჭოს წევრები – ნ. არდოტელი, მ. ბერიძე, თ.
გვანცელაძე, გ. გოგოლაშვილი, თ. ვაშაკიძე, ნ. მაჭავარიანი, ს. ოშიაძე, ლ. ქაროსანიძე,
ვ. შენგელია, მ. ჩუხუა, გ. ცოცანიძე, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე – ნ.
ჯორბენაძე, ინსტიტუტის სწავლული მდივანი – მ. ლლონტი, ტექნიკური
უზრუნველყოფისათვის – ლ. ვაშაკიძე, მდივანი – მ. ლაბარტყავა.

თავმჯდომარე პროფ. ვ. შენგელია

მდივანი – მეცნიერ-თანამშრომელი მ. ლაბარტყავა

V. მოისმინეს: ენათმეცნიერების ინსტიტუტის შენობასთან დაკავშირებული
საკითხები

ვ. შენგელია: ენათმეცნიერების ინსტიტუტის შენობა 90-იანი წლებიდან
აგარილია. გამდინარე წყლებმა, გვერდით თუ უკან წამოწყებულმა მშენებლობებმა
ის უფრო და უფრო ამორტიზებული გახადა. ხელისუფლებას განზრახული აქვს ამ
შენობის პრივატიზაცია. ბევრი ინვესტორია დაინტერესებული შენობის ასენებით.
მათგან სხვადასხვა შემოთავაზება გვაქვს.

ჩვენ მიერ მომზადდა წერილი, რომელშიც ვითხოვთ 2400 კვ.მ-ის შენობის
ასენებას, რომელიც იქნება ოთხსართულიანი, თითო სართული – 600 კვ.მ.
კუთილმოწყობილი ინფრასტრუქტურით ახალი შენობა კი აუცილებლად უნდა
იყოს ქალაქის ცენტრში. მთავარია შესრულდეს ჩვენი მოთხოვნები. ვინ იქნება
ინვესტორი ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს. შემდეგ სამეცნიერო საბჭოს

თავმჯდომარემ - ვაჟა შენგელიამ საბჭოს წევრებს გააცნო ინსტიტუტის წერილი პრივატიზაციასთან დაკავშირებით და ინსტიტუტის მოთხოვნები.

მ. ბერიძე: კარგი იქნება ხელშეკრულებაში მიეთითოს, რომ შენობა ერთი წლის ვადაში უნდა იქნეს ჩაბარებული.

ნ. მაჭავარიანი: ჩვენ სამი შენობა გვიჩვენეს. ქალაქის ყველაზე ცენტრალურ ადგილას მდებარე შენობა კედიას № 4 -შია. ეს შენობა სარემონტოა. ადრე პროფტექნიკური სასწავლებელი იყო, ახლა სარემონტოა და ინდოელები ცხოვრობენ. ვიფიქრეთ ეს შენობა (სხვა შემოთავაზებულ შენობებთან შედარებით) ხელსაყრელი იქნებოდა ყველასთვის, ჯერჯერობით. თუკი ის სათანადოდ გარემონტდებოდა და სავსებით მზად იქნება ინსტიტუტისთვის.

გ. გოგოლაშვილი: ინსტიტუტს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვს, ვფიქრობ, უფლება არა აქვთ მისი პრივატიზაციისა:

აზრი გამოთქვეს: თ. გვანცელაძემ თ. ვაშაკიძემ, ლ. ქაროსანიძემ...

დაადგინეს: დაამტკიცეს მიმართვის ტექსტი (ოქმს ერთვის).

✓/ ვ. შენგელია: პრივატიზაციას უპირებენ ასევე არნოდ ჩიქობავას აგარაკს ოქროყანაში. ეს ნამდვილად დანაშაული იქნება ერის წინაშე, დიდი მკრეხელობაა ამ კუთხით საკითხის დასმაც კი. ინსტიტუტი არ დათმობს. იქ ხომ არნოდ ჩიქობავა დაკრძალული მეუღლესთან ერთად.

ნ. მაჭავარიანი: დაწერილია ჩვენი მიმართვა ამასთან დაკავშირებით.

ვაჟა შენგელია კითხულობს მიმართვის ტექსტს, რომლის ადრესატია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა.

დაადგინეს: დამტკიცდეს მიმართვის ტექსტი (ოქმს ერთვის).

თავმჯდომარე - პროფ. ვ. შენგელია *ვ. შენგელია*

მდივანი - ფილოლ. მეცნ. კანდ. მ. ლაბარტყავა *მ. ლაბარტყავა*





N 20924/10
 10/10/2018

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
 ადმინისტრაციის ხელმძღვანელს,
 ქალბატონ ნუნუ ოვსიანიკოვას

ქალბატონო ნუნუ,

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გადმოგვიგზავნა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსის ა.წ. 14 სექტემბრის #6/51486 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობს საქმისწარმოება ქ. თბილისში ფუნქციულობის ზედა პლატოზე მდებარე მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების პრივატიზების თაობაზე; გაყიდვების სამსახური გვთხოვს ამასთან დაკავშირებით გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება.

საქმე ეხება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მიწის ნაკვეთსა და მცირე სააგარაკე სახლს, რომელიც მეცნიერის ანდერძის შესაბამისად 1987 წელს გადაეცა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს, ხოლო 2000 წელს გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში. ამჟამად ის გადაცემულია უნივერსიტეტისათვის იჯარის წესით.

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დაადგინა, რომ (იხ. ამონაწერი ოქმი # 11 თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის საბჭოს 2018 წლის 21 სექტემბრისა) აღნიშნული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობის პრივატიზაცია დაუშვებელია, რადგან აგარაკის ეზოში (ნაკვეთზე) დაკრძალულია დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე აკად. არნ. ჩიქობავა მეუღლესთან ერთად. პრივატიზაციის შესახებ საკითხის დასმაც კი მიუღებელია არა მხოლოდ მეცნიერებისათვის, არამედ მთელი ქართველი საზოგადოებისათვის (სხვათა შორის, მიმდინარე წელს საერთაშორისო მასშტაბით აღინიშნება არნ. ჩიქობავას დაბადების 120 წლისთავი).

საკითხი უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან.



დირექტორი
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ა ნ დ ე რ ტ ი

ქ.თბილისი ათასლეხრავას რაიონის მუნიციპალიტეტის "04" სასაბუნების

მი, არსოდ სტეფანეს ძე ჩიქოვაძის რაიონი, ქ.თბილისი, ი. ვაგვიანის გამზირი
N 19-ში, ამ ანდერძით ვიძღვრე შეგიძვს განკარგულებას:

1. ჩემს ქონებას, რომელიც ჩემი გარდაცვალების დღისათვის აღმოჩნდება ჩემ
კუთვნილი, აქედნად:

აგარაკს, მიღებარეს ქ.თბილისში ჟინკოლიძის ვილა პლაცის დასახლებაში
ვუანდერძებ სავაჭროდებს სსრ მიწონიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტი-
ტუტის ქართული მეცნიერებების კურორის განყოფილებას, რომელიც საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მანამორჩილებელ ქართული სალიტერატურო ენის ნაწილს
დახმარებელი მიუძღვით საბუნებისმეტყველო კომისიის აკადემიის მარხაღგენს.

აღნიშნული აგარაკი გამოიყენონ სამუშაოდ, აგრეთვე, ენათმეცნიერების
ინსტიტუტის იმ მანამორჩილებელს, უსაფ ჩემს პირად არქივში მოსახლა ეკლავება
/იხ. აქნქები 2/.

აგარაკში დარჩეს მიწები და იმ ნივთები, რაც იქ მოიპოვება.

ანდერძის ამ აქნქების ნივთები და აგარაკის რაიონ-პატრონება ჩემი
გარდაცვალების შემდეგ დაეკისრეს კომისიას, რომლის შემადგენლობაში შევიდენ
ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მანამორჩილებელი: ვაჟა გრიგორი
ძე მენგელია /თავმჯდომარე/, მიქაელ გომიხეს ასული აწიკაშვილი, გურამ ბერიას
ასული კვარაცხელია.

2. ჩემს პირად არქივში მოსახლა დაეკისრეს ენათმეცნიერების ინსტიტუტის
უფროს მეცნიერ მანამორჩილებელს: ილია ივანიშვილის ძე კახაძის, მიქაელ სიგაძის
ძე სუნიშვილს, ვაჟა გრიგორის ძე მენგელიას /თავმჯდომარე/.

3. ჩემს პირად მიმდებლობას, რომელიც იწახება ჩემს ბინაში /გარდაცვალების
გამზირი 19, ვ.22/ მი უანდერძებ ილია ივანიშვილის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტს.

აღნიშნული ბინა გადავიღებ თბილისის საბუნებისმეტყველო უნივერსიტეტის იქ
"იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების კამიტეტის" გასახსნელად. მიმდებლობა

უნივერსიტეტისათვის შიგნითი გადასაცემად მიმზადებასა და მათ გადაცემასი, მონაწილეობა მიიღოს ნაღია დიმიტრის ასურია მერყედავამ.

4. ამწარარი, რომელიც ჩიმი გარდაცვალებაში შენიღვ დაზარალებულ-ჩიმი შიგნითისათვის გაიფრმა, მიხმარდეს საინგინოს ქართული სკოლისა და ფაკულტას რაიონის სოფელ ძედი სენაკის სკოლის საჩინოებას/ანდერძს ამ აქტივისათვის პასუხისმგებელი პირი- ვაჟა გრიგოლის ძე შენგელია.

5. ჩემს გარაჟას, რომელიც მედპარტის ცავყავაძის გამგირი N 19-ის სახლის ეზოში, ვუანდერძებ ენათმეცნიერების ინსტიტუტის უმცროს მდენიერ თანამშრომელს ვლადიმერ ჟივკელს ძე კიკიდაშვილს /მეხორებს ცავყავაძის გამგირი N 26, ბ.14/.

6. მთხიათასორას მანუას, რომელიც იწახება ჩემს სახლში N 3525/0141 შენიღვთვდ სადაროში N 85 ანგარიშში, ვუანდერძებ ვაჟა გრიგოლის ძე შენგელიას, რათა ეს თანხა გამოიყონოს საქართველოს სსრ მეთინორებათა აკადემიის მრგარის "იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების უფროსების" სამუშაო-სათვის.

7. ჩიმი მუხლის მჭრის საათი და გუცსაწილი ვადადის მისი მისი უფრო მიიღოს ირინე გუცის ასურ ყიასამიილს.

ანდერძის ყოველ აქტივის ეფსურებისათვის საიწმ პასუხისმგებელია ვადადის ვაჟა გრიგოლის ძე შენგელიას.

8. საჩ.სსრ. სამიქსადარი სამარტლის კოდექსის 546-547 მონდები მიწათ-ჩემთვის ნოქარტსის მიერ განაწარტებულია.

9. ეს ანდერძი შედგენილია და ჩემს მიერ ხელი მოწერილია მრ ენათმეცნიერ-რომელთაგან ერთი იწახება ქ. თბილისის მე-5 სახელმწიფო სამეცარო კამიერის სამმეცნი. ხოლო მეორე მიუძღვა მე მიწათმეცნიერ-კარტო სტოქსის მე-10 მონდის.

1. *Handwritten signature: ვაჟა გრიგოლის ძე შენგელია*

1984. წლის "04" სექტემბერს ეს ანდერძი ნაიამიში მე. თბილისის მე-5 სახელმწიფო სამეცარო კამიერის ნიკარო-სისა გ. ა. კ. კამიერისა მიწათმეცნიერ-ხელმწიფრილია მიწათმეცნიერ-სტოქსის ძე მიწათმეცნიერ-კარტო-სისა მიერ ნაიამიში ხელით ჩემი- თანდასმირება, ამ ანდერძის დასმირების პირაობა და შენიღვთ-ანობა შენიღვთებულია.

ვადადებულია სახელმწიფო სატი 2-მარტო და მეწინიკარი 1-მარტო
წილის *N 19. 18/87*

ანდერძი ნაიამიში ილია მიწათმეცნიერ.
სახელმწიფო ნიკარო-სისა- *Handwritten signature* გ. ა. კ. კამიერისი



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018409127 - 15/05/2018 11:52:31

მომზადების თარიღი
15/05/2018 17:29:55

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
თბილისი	მთაწმინდა			ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
01	15	05	068/002	დაბუსტებული ფართობი: 981.00 კვ.მ.
მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ინგოროყვა , N 8				ნაკვეთის წინა ნომერი: 68;
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა N1 -				
საერთო ფართობი - 3500.97 კვ.მ. (მ.შ. სარდაფი - 774.99				
კვ.მ.; I სართული - 765.92 კვ.მ.; II სართული - 776.84				
კვ.მ.; III სართული - 780.25 კვ.მ.; IV სართული - 432.97				
კვ.მ.)				

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882010606996 , თარიღი 14/05/2010 11:09:07
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/05/2010

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- წერილი N16/1553 , დამოწმების თარიღი:11/05/2010 , საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

მესაკუთრები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შეზღუდული სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
01200000684
თარიღი 18/02/2000

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882015272002
თარიღი 19/05/2015
11:26:41

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
28/05/2015

I სართულზე საერთო სარგებლობის გასასვლელი დაიგვირთოს სერვიტუტით. ;

მოსარგებლე: სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი" 204864548;
მესაკუთრე: სახელმწიფო;

საგანი: 981.00 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1 - საერთო ფართობი
- 3500.97 კვ.მ. (მ.შ. სარდაფი - 774.99 კვ.მ.; I სართული - 765.92 კვ.მ.; II სართული - 776.84
კვ.მ.; III სართული - 780.25 კვ.მ.; IV სართული - 432.97 კვ.მ.);
მოსარგებლის არსებობის ვადით;

წერილი, რეგისტრის ნომერი N5/5366, დამოწმების თარიღი 14/02/2014, სსიპ "სახელმწიფო
ქონების ეროვნული სააგენტო",

ვალდებულება

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტად ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშუქოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნაშთების გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერითორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებისა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გეგმიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაჩუქეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882008035558 - 14/02/2008 11:03:10

მომზადების თარიღი
15/02/2008 10:55:08

საკუთრების განყოფილება

ზონა თბილისი	სექტორი მთაწმინდა	კვარტალი 07	ნაკვეთი 04/002	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი:1494.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 4 შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 99.61
მისამართი: ქალაქი თბილისი , ფუნიკულიორი , მედა პლატო , (ნაკვ.4/2)				

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 012000000685 , თარიღი 18/02/2000

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ქ.თბილისის გექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს მიერ 1986 წლის 16 ივნისს გაცემული საინვენტარიზაციო გეგმა და 2000 წლის 26 იანვარს გაცემული ცნობა N2427.
- გექ. ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა-დახასიათება

მესაკუთრები:
სახელმწიფო

მესაკუთრე:
სახელმწიფო

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება: არ არის დაგვირუთული

სარგებლობა

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
012000000685
თარიღი 18/02/2000

მოიჯარე: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი;
მესაკუთრე: სახელმწიფო;
ვადა:25 წელი;

სანოტარო წესით 2000 წლის 16 თებერვალს დამოწმებული ხელშეკრულება N18 (რეესტრის
N2-78, ნოტარიუსი ლ. კობახიძე) სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-
სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის შესახებ, რეგისტრირებული 2000 წლის
17 თებერვალს ხელშეკრულების საქალაქო წიგნში. ,

ვალდებულება

ყაბაღა: არ არის რეგისტრირებული

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება აქტივის გადაცემიდან (რეგისტრაციიდან) არა უგვიანეს 5 სამუშაო დღისა, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მისხედით"



საჯარო სამართლის იურიდიული უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №6, დანართი 5

N 20864/10

10/10/2018

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს, ბატონ კახაბერ ლორიას

ბატონო კახა,

